

ინფორმაცია 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1.1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა 37 02 06

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ათასი ლარი

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
37 02	პროგრამა					
37 02 06	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	6,568	6,183	6,056	98	964

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

ცხოველთა დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, საკვები პროდუქტების და სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების ექსპერტიზა (დადგენა). ზემოაღნიშნული ლაბორატორიული კვლევების მიზანია ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების ზუსტი დიაგნოსტიკა, ასევე საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების დადგენა და დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურის დროული ინფორმირება, რაც საფუძველია გასატარებელი ღონისძიებების სწრაფად და ზუსტად დაგეგმვა-განხორციელებისა.

დასახული შუალედური შედეგი:

ცხოველთა (მ.შ. ფრინველი, თევზი, ფუტკარი) დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
 ცხოველთა გადამდები სნეულებების აღმკვეთლების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
 ცხოველური და მცენარეული წარმოშობის საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის, უალკოჰოლო სასმელებისა და სასმელი წყლის ექსპერტიზა, ხარისხისა და საკვებად ვარგისიანობის განსაზღვრა;
 მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა.

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას 2015 წლის 2 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული აქვს სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევები, შემოსულია დაახლოებით - 294 128 ნიმუში, მათ შორის ინფექციურ დაავადებებზე (ბრუცელოზი, მრპ-ს პათოზასლა, ტყავისა და ნიადაგის გამოკვლევა ჯილეხზე, ცოფი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ბრადზოტი, ემკარი და სხვა) ჩატარებულია სხვადასხვა საკვები პროდუქტების - მრპ-სა და ღორის ტანხორცის, სხვადასხვა მზა პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების, რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიური გამოკვლევა. კვლევები ჩატარდა-სალმონელა, ლისტერია მონოციტოგენეზი, ცისტეცეროზი, ტრიქინელოზი. ასევე ფიზიკო-ქიმიურად გამოკვლეულია ცხოველთა საკვები (კომბინირებული საკვები, სიმინდი და სხვა) (ცილები, ცხიმები, უჯრედანა და სხვა შემცველობაზე). წყლის ნიმუშები სასმელად ვარგისიანობაზე და სხვა.

გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ცოფი - 96, ბრუცელოზი- 2265, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 97, პასტერელოზი - 30, სალმონელოზი - 7, ცხენების ტრიპონოზომოზი - 1, ტუბერკულოზი - 1, ემკარი - 11, ბრადზოტი - 13, ჯილეხი - 26.

საკვები პროდუქტების (მზა პროდუქტი, ნახევარფაბრიკატი, ხორცპროდუქტი, რძე, რძის პროდუქტი, წყალი და სხვა) მიკრობიოლოგიური კვლევებისას გამოვლინდა: სალმონელა - 69, ლისტერია მონოციტოგენეზი - 61, ნჩჯბ - 489, მაფანმრ - 347, S.Aureus - 27, მასტიტი - 156, პროტეუსი - 7.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები:*

1. ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის ოდენობა;
2. მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკის ოდენობა;
3. კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების ექსპერტიზის ოდენობა;

განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

"ლაბორატორიას გააჩნია გაცილებით მეტი ნიმუშის გამოკვლევის შესაძლებლობა. ლაბორატორიაში შემოსული გამოსაკვლევი მასალის რაოდენობა დამოკიდებულია სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკურ პირების მიერ შემოტანილი მასალის რაოდენობაზე და შესაბამისად ლაბორატორია ვერ აკონტროლებს ამ პროცესს."